ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები

ქ.თბილისი
2014 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმნა.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომ –სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირებისგან: **ანდრო წამალაიძე - 577 112022**
ზაზა ნემსაძე – 599790009

2. საქვალიფიკაციო, ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან:
2.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი)სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნისშესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული
თარგმანი ქართულ ენაზე. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
2.4 პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის რეკვიზიტებს დანართი N1–ის შესაბამისად, გასაწევი სამუშაოს განფასებას დანართი N2 (სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს სრულყოფილად მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს), სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაღებ (სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან, ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“,ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის მინიჭებამდე) და ინფორმაციას განხორციელებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის (დანართით #3) მითითებული ფორმით
2.5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
2.6 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიული წესით.
2.7 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
2.8 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ი ს რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

სამართლებრივი ფორმა:
საფირმო სახელწოდება:
იურიდიული მისამართი:
ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
ტელეფონის ნომერი:
მომსახურე ბანკის დასახელება:
მომსახურე ბანკის მფო:
ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:
ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
(სახელი და გვარი)
ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის
მობილური ტელეფონის ნომერი:

_____ _____ ___

(შევსების თარიღი)

<u>ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი დ ა ვ ა ლ ე ბ ა</u>

1. შესყიდვის ობიექტი:
ქ. ოზურგეთში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიორო ფონდის გრანტის (№AR/10/10-160/13) ფარგლებში)

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:

29,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. მიწოდების ვადები:
სახელმწიფო შესყიდვების შესახების ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე.

4. დაფინანსების წყარო:
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახსრებით

5. ანგარიშსწორება:
ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსრულებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას შემსრულებელთან ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30 პროცენტისა, შემსრულებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. პრედენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები:
- ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; დანართი #1
- ფასების ცხრილი - ხარჯთაღრიცხვა დანართი #2-ის შესაბამისად.
- ინფორმაცია განხორციელებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის (დანართით #3) მითითებული ფორმით, რომლის მოქმედების ვადაც უნდა იყოს მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მინიმუმ 2 წელი

7. ტექნიკური დავალება:
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის

დანართის სახით (ფასების ცხვრილი - ხარჯთაღრიცხვა, დანართი N2) და ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად. აუცილებელი პირობა:
- ზომების დაზუსტება მოხდეს მიმწოდებლის მიერ.
- სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს;
- სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფთან;
- შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს შენობის გათავისუფლება ინვეტარისაგან, რომელიც ხელის შემშლელი იქნება სამუშაოს შესრულების პროცესში.
- სამუშოების დასრულების შემდეგ 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (დეფექტი, ნაკლოვანებები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით
- შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით).

შენიშვნა:
- პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთის მხრივ ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და მეორეს მხრივ, „შემსრულებელი“ (შემდგომში სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები
2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა შემსრულებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „შემსრულებელი“ _ პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოების შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. ქ. ოზურგეთში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიორო ფონდის გრანტის (№AR/10/10-160/13) ფარგლებში)
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გასაწევ სამუშაოსთან დაკავშირებულ შემსრულებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსრულებელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.
5.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტებსა და ნორმებთან.
5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შემსრულებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის ვადაში.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7. ანგარიშსწორება
7.1. ანგარიშსწორების ვალუტას წარმოადგენს - ლარი.
7.2. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო.
7.3. შემსრულებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას შემსრულებელთან ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30 პროცენტისა, შემსრულებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.
7.4. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია 30 დღით უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
7.5. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. უფლებების გადაცემა
8.1. შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.
8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით არსებული სხვა ვალდებულებებისაგან.

9. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები
9.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, ხარისხიანი (სტანდარტის შესაბამისი) სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე.
9.2. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 (ორი) წელს.
9.3. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდში დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთება ან/და ახლით შეცვლა უნდა განხორციელდეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. ფორს -მაჟორი
10.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო
ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით
შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის
შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
11.5. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ერთმანეთის წინაშე ყოველი დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით.
12.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა
13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.
14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
(ა)შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაოების ჩატარება.
(ბ)შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
(გ) შემსრულებელი გაკოტრდა;
(დ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
(ე) თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის _____ ჩათვლით.

16. გადასახადები და ბაჟები
შემსრულებელი პასუხს აგებს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

17. შეტყობინება
17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გამოყენებული სამართალი
ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. დამატებითი პირობები
ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

20. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

დანართი №3

საგარანტიო ვადები და პირობები

ჩვენს მიერ მიწოდებულ საქონელზე, ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, ვავრცელებთ სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტიას ---- წლის ვადით. ამ ვადაში გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლს/დეფექტს აღმოვფხვრით საკუთარი ხარჯით.

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------

ბ.ა /ხელმომწერის სახელი, გვარი/